ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #1

ქ. თბილისი

10 იანვარი 2013 წელი

ერთის მხრივ სსიპ თბილისის ქ. თბილისის N202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ჯალაღონიას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ მზია ადეიშვილი (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მზია ადეიშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ბიზნესთან და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურებები (შემდგომში – მომსახურება) (CPV კოდი: 79400000), კერძოდ, დამკვეთის მიერ მოწოდებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესაბამისად სხვადასხვა საკვები პროდუქტების სატენდერო დოკუმენტაციების შედგენა, შეთანხმება დამკვეთთან, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადება და „გამარტივებული შესყიდვის , გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ", „რ" ან „ს" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე საჭირო მომსახურების უზრუნველყოფა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **250** (ორას ორმოცდაათი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად, მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქ. თბილისის N202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა ჯალაღონია

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2013 წლის 31 იანვრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება მოთხოვნიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.5. აუცილებლობის შემთხვევაში ,,შემკვეთთან" ერთად დაიცვას მისი ინტერესები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში და სხვა მაკონტროლებელ სტრუქტურაში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

82. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 10 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 10 თებერვლის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ ქ. თბილისის N202 საჯარო სკოლა

მის: ქ. თბილისი, გუთნის ქ.6

საიდენტიფიკაციო კოდი 206091398

ს.ს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა # GE 83LB0121134143229000

დირექტორი ხ. ჯალაღონია

მიმწოდებელი:
ი/მ მზია ადეიშვილი

ს/კ *01001001690*

მისამართი ქ. წამებულის 91 ბინა2

ბანკი *ს.ს. „ბანკი კონსტანტა" კოდი: CNSBGE22*

ანგარიშის N *GE15CN0000036101072890*

ტელეფონი 599100118

დირექტორი: მზია ადეიშვილი